

## თანამედროვე ბანკის ბიზნეს- და იტ-სტრატეგია ფინანსური კრიზისების პირობებში

სოფიკო გოგოლაძე<sup>1</sup>, მედეა თევდორაძე<sup>1</sup>, მარინა გელევანიშვილი<sup>2</sup>,  
მაია სალთხუციშვილი<sup>1</sup>, ანასტასია ბაჯიაშვილი<sup>1</sup>

1- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

2- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

### რეზიუმე

თანამედროვე ბანკების საქმიანობა ხასიათდება რთული პირობებით, რაც გამოიხატება მომატებულ კონკურენციაში და ეკონომიკური კრიზისების არსებობაში. ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა ისეთი ამოცანა, როგორცაა ბანკების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მაჩვენებლის უზრუნველსაყოფად უნდა იყოს შემუშავებული ბანკის შესაბამისი სტრატეგია და მართვა. თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე რეალობას, აღნიშნული სტრატეგიისა და მართვის დონის უზრუნველყოფა საკმაოდ რთული და კომპლექსური ამოცანაა. მოცემულ სტატიაში დახასიათებულია ბანკის ინფორმაციული სისტემის და ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი ბანკის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხში. დახასიათებულია ბანკის მართვის სისტემა და მისი ფუნქციების რეალიზაცია ბანკის ინფორმაციული სისტემის სახით. დახასიათებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგია და მისი როლი ბანკის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაში.

**საკვანძო სიტყვები:** ბანკი. ფინანსური მდგრადობა. ბიზნეს-სტრატეგია. იტ-სტრატეგია. ბანკის მართვა. ბანკის ინფორმაციული სისტემა.

### 1. შესავალი

XXI საუკუნის დასაწყისში შეინიშნება ღრმა ცვლილებები საბანკო საქმეში, ახალი ინოვაციური საბანკო პროდუქტების დანერგვა, ნოვაციები კლიენტების მომსახურების ორგანიზაციაში და ფორმებში, საბანკო მენეჯმენტის მეთოდებში და ხერხებში. ამავ დროულად შეინიშნება რისკების მნიშვნელოვანი ზრდა, რომლებიც დაკავშირებულია საბანკო საქმესთან. ნებისმიერი ბანკისათვის, ისევე როგორც საბანკო სისტემისათვის, მთლიანობაში მნიშვნელოვანი ხდება კრიზისული სიტუაციების განჭვრეტა და მათი ნეგატიური გავლენის შემცირება მინიმალურ დონემდე.

ჩვეულებრივ, საბანკო მომსახურების ბაზრის ყველა სუბიექტისათვის ძირითად მიზანს წარმოადგენს ბანკის საქმიანობის და მთლიანად საბანკო სისტემის ეფექტიანობის და ფუნქციონირების საიმედოობის განსაზღვრა და უზრუნველყოფა. მაგრამ საბანკო რისკების, ბანკთაშორისო კონკურენციის ზრდის, ზედამხედველობის ორგანიზების მხრიდან საკრედიტო ორგანიზაციების მიმართ მოთხოვნების გამკაცრების პირობებში პირველ პლანზე გამოდის საკრედიტო ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობა. ბანკები და მათი მარეგულირებელი ორგანოები ცდილობს შეასრულოს თავისი ძირითადი ამოცანები: საბანკო სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფა, მისი სტაბილურობა, კრედიტორების და მეანაბრეების დაცვა საბანკო რისკებისაგან. განვიხილოთ, თუ როგორ შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი ბანკის ფინანსური მდგრადობა მისი ბიზნეს და იტ-ის სტრატეგიის მეშვეობით,


### 2. ძირითადი ნაწილი

თავდაპირველად განვსაზღვროთ, თუ რას წარმოადგენს ბანკის ფინანსური მდგრადობა. იგი კომპლექსური მაჩვენებელია, რომელიც ასახავს ბანკის საიმედოობის ხარისხს გარე ზეგავლენების დამოკიდებულებაში. მასში შეიძლება შედიოდეს შემდეგი მახასიათებლების შეფასება: კაპიტალის

სტრუქტურა და მისი საკმარისობა რისკების დასაფარავად, ბალანსის ლიკვიდურობის დონე, აქტივების სტრუქტურა და ხარისხი, რისკების მართვის პოლიტიკა (რისკების სტრუქტურა, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები, ორგანიზაციის რისკ-მენეჯმენტის ხარისხის კონტროლი).

თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობის სირთულესთან დაკავშირებით ბანკების წინაშე წარმოიშევა ახალი ამოცანები, რომელთაგან ერთ-ერთი არის ბანკის მუშაობის მდგრადობა. მაგრამ ბანკის განვითარების მკაცრად განსაზღვრული სტრატეგიის გარეშე მუდმივად ცვალებად პირობებში ბანკის გადარჩენის შანსი ნაკლებია. თავის მხრივ ბანკის განვითარების სტრატეგიის შემუშავება დამოკიდებულია მრავალი ფაქტორის კომპლექსურ გათვალისწინებაზე. ეს მოითხოვს ყურადღების კონცენტრაციას ბანკის საქმიანობის, როგორც სისტემის კომპლექსური ანალიზის საკითხებზე.


კომერციული ბანკი საბაზრო ეკონომიკის აქტიური ელემენტია და როგორც ორგანიზაცია, ფლობს სისტემურ თვისებებს, როგორცაა: მთლიანობა, დაყოფადობა, მგრძობიარობა, მდგრადობა, მართვადობა, საიმედოობა, უსაფრთხოება და ა.შ. კიდევ ერთ-ერთი ნიშანთვისებაა ელემენტებისა და კავშირების რაოდენობა სისტემაში. ამ ნიშანთვისების მიხედვით განიხილავენ მარტივ და რთულ სისტემებს. ბანკი, თავისი სერვისების რაოდენობით და იმ პირობებიდან გამომდინარე, რომლებშიც უწევს მას მუშაობა, მიეკუთვნება რთული სისტემების კლასს (ნახ.1).



ნახ.1. ბანკი – როგორც რთული სისტემა

ვინაიდან ბანკი რთული სისტემაა, მისი მართვის დროს უნდა იყოს გამოყენებული სისტემური მიდგომა. ბანკის საქმიანობის კომპლექსური ანალიზის გარეშე მისი ქცევის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ფრიად რთულია. ამასთან დაკავშირებით დავახასიათოთ ბანკის მართვის სისტემა.

ბანკის მმართველობითი აპარატი შეიძლება დავყოთ სამ დონედ: ზედა, საშუალო და დაბალი (ოპერატიული) (ნახ.2). **ზედა დონე** (ზედა ხელმძღვანელობა) განსაზღვრავს მართვის მიზნებს, გარე პოლიტიკას, მატერიალურ, ფინანსურ და შრომით რესურსებს, ამუშავებს ხანგრძლივ გეგმებს და მათი შესრულების სტრატეგიას. მის კომპეტენციაში შედის ბაზრის, კონკურენციის, კონიუქტურის ანალიზი და ბანკის განვითარების ალტერნატიული სტრატეგიების ძიება არახელსაყრელი სიტუაციის შემთხვევაში. **საშუალო დონეზე** ძირითადი ყურადღება კონცენტრირებულია ტაქტიკური გეგმების შემდგენაზე, მათი შესრულების კონტროლზე, რესურსების ყურადღების მიღწევაზე და დაგეგმილი დონის მიღწევის დირექტივების შემუშავებაზე. **ოპერატიულ დონეზე** სრულდება გეგმების რეალიზაცია და იწერება მათი შესრულების ანგარიშები. ოპერატიული მართვის ძირითადი ამოცანაა საწარმოო პროცესის ყველა ელემენტის შეჯერება (შეპირიპირება) დროში და სივრცეში მისი დეტალიზაციის საჭირო ხარისხით.



ნახ.2. მიზნები და გადაწყვეტილებების ტიპები მართვის დონეების მიხედვით

ბანკის მართვის სისტემა, ასრულებს რა ზოგადად ფუნქციებს, ტიპურს ნებისმიერი მმართველობითი სისტემისათვის (დაგეგმვა, აღრიცხვა და კონტროლი, ანალიზი და რეგულირება), ფლობს მათი დანაწილების თავისებურებას მმართველობითი სტრუქტურის ელემენტებს და დონეებს შორის. მაგალითად, აღრიცხვის ფუნქცია სრულდება ოპერატიულ და მმართველობით დონეზე, დაგეგმვისა და ანალიზის ფუნქციები სრულდება სამივე დონეზე. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზი დამოუკიდებლად არ არსებობს, ის წინ უძღვება დაგეგმვის ეტაპებს. გარდა ამისა უნდა ითქვას, რომ ეს ფუნქციები უწყვეტად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ყოველთვის ატარებს მიზნობრივ ხასიათს.


მოკლედ დავახასიათოდ ძირითადი მართვის ფუნქციები. **აღრიცხვა** ძირითადად ხორციელდება მართვის ოპერატიულ და საშუალო დონეებზე. ზედა დონეზე აღრიცხვა არ ტარდება, მაგრამ აქ ანალიზი არის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება. სტატისტიკური აღრიცხვა იძლევა საშუალებას შეგროვდეს მონაცემები ცალკეული მაჩვენებლების ცვლილებების შესახებ ხანგრძლივ პერიოდში. **კონტროლი** – ერთერთი ქვესისტემაა, რომელიც მიმართულია ბანკის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაზე იმ ინფორმაციის სანდოობის უზრუნველყოფის ხარჯზე, რომელიც გამოიყენება საბანკო სისტემაში გადაწყვეტილებების მისაღებად. არსებობს ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული კონტროლი. კონტროლის პროცესში განასხვავებენ: გარე და შიდა კონტროლს. გარე კონტროლი ბანკების მიმართ ხორციელდება ცენტრალური ბანკის და სხვა ეფლებამოსილი ორგანოების მიერ. შიდა კონტროლი ხორციელდება საბანკო მართვის ყველა ქვესისტემის მიერ. **ანალიზი** - წარმოადგენს მართვის ფუნქციას, რომელიც იძლევა საშუალებას გამოცნობილ იქნას არსებული ეკონომიკური სიტუაცია როგორც ბანკის შიგნით, ასევე მის გარეთ. ვერც ერთი ბანკი ვერ იმუშავებს თავის საქმიანობის სრული ანალიზის გარეშე. არის რა მართვის შემადგენელი ელემენტი, ანალიზი აძლევს საშუალებას ბანკს დააკორექტიროს თავისი სტრატეგია და უზრუნველყოს ამით მოგების ზრდა და საიმედოობის ამაღლება. ბანკის ფინანსური საქმიანობის ანალიზში გულისხმობენ ბანკის მიმდინარე მდგომარეობის ანალიზს და მომავალი მდგომარეობის პროგნოზს, მმართველობითი გადაწყვეტილებების მხარდაჭერის ამოცანების გადაწარას. **დაგეგმვა** – არი შიდასაბანკო მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუნქციონალური ქვესისტემა, რომლის მიზანს წარმოადგენს სტრატეგიული და მიმდინარე ხასიათის ამოცანების დასმა, რომელთა რეალიზაცია უნდა უზრუნველყოფდეს მართვის ობიექტის განვითარებას სასურველი მიმართულებით. დაგეგმვის ეტაპზე მუშავდება ბანკის განვითარების სტრატეგია, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: გლობალური ამოცანების დასმა და ბანკის სტრატეგიული მოზნების განსაზღვრა; ბაზრის საწყისი

მდგომარეობის განსაზღვრა; სტრატეგიაზე სისტემურად მოქმედი ფაქტორების შეფასება; საშიშროებებისა და შესაძლებლობების შეფასება; სამეურნეო პორტფელის განვითარების სტრატეგია (ანუ კონკურენტული სტრატეგია); რეგულირებად ფაქტორებში სტრატეგიული ცვლილებები; მოსალოდნელი საფინანსო შედეგების განსაზღვრა.

აქ უნდა ავლნიშნოთ, რომ როგორც ნებისმიერი სხვა რთული სისტემა, ბანკი გამოიმუშავებს გარკვეულ ქცევას, რომელიც პასუხობს მის მიზნებს, შემდეგ მუდმივად ახდენს მის რეგულირებას საქმიანობის შედეგებისა და ცვალებადი პირობების მიხედვით. ხანდახან ბანკის ქცევა კორექტირდება უფრო სერიოზულად და ეს კორექტირება შედგება ახალი ფინანსური სქემების ძიებისა და გამოყენებისაგან. მაგრამ გაცილებით უფრო სერიოზული ცვლილებები შემოდის ბანკის საქმიანობაში ეკონომიკური კრიზისების დროს. ასეთ შემთხვევაში უკვე ლაპარაკი არ მიდის შემოსავლიანობის ზრდაზე, არამედ საუბარია ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებაზე, რომელიც გამოიხატება ბანკის საიმედოებაში გარე ზემოქმედებებთან მიმართებაში.


აღნიშნული პრობლემიდან და რთული თანამედროვე ვითარებიდან გამომდინარე ბანკი, როგორც რთული სისტემა, მოითხოვს მართვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, რომლებიც მოგვცემს საშუალებას მიღებულ იქნას ოპტიმალური გადაწყვეტილებები ბანკის მართვასთან დაკავშირებით. აქ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ბანკის ინფორმაციული სისტემა, რომელიც დღეს, შეიძლება ითქვას, ღებულობს მონაწილეობას ბანკის ყველა დონის მართვის ამოცანების გადაჭრაში. თავდაპირველად საბანკო ინფორმაციული სისტემები ასრულებდა მხოლოდ სააღრიცხვო ფუნქციებს. ავტომატიზაციის ეს დონე შეესაბამება ცნებას Transaction Processing System (TPS). მაგრამ საკმაოდ მოკლე ხანში ინფორმაციულმა სისტემებმა ბანკში გამოიარეს სტადიები დაწყებული Management Information System (MIS) სისტემებით და დამთავრებული Decision Support System (DSS) სისტემებით. დღეს ბანკებში ინერგება Intergrated Perfomance Support System (IPSS) ტიპის სისტემები, რომლებიც კომპლექსურად წყვეტს ბანკის მართვის ამოცანას. აღნიშნული ტიპის სისტემა უზრუნველყოფს მონაცემებს მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, მაგრამ მეორეს მხრივ სთავაზობს მართვის ბერკეტებს, რომლებიც უზრუნველყოფს კორექტირებების შეტანას ბანკის საქმიანობაში. აღნიშნული ტიპის სისტემების აუცილებლობა გამოიხატება ისეთ მიზეზებში, როგორც არის „მარტივი ფულის” მიღების მექანიზმების ამოწურვა, ფინანსური კრიზისები, კონკურენციის ზრდა, საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე გასვლის პერსპექტივა, სადაც ინფორმაციული სისტემა ერთერთი კონკურენტული უპირატესობაა.

საბანკო ინფორმაციული სისტემა ასრულებს ბანკის მართვის პროცესის ინფორმაციული მხარდაჭერის ფუნქციას (ნახ.3). ის წარმოადგენს ბანკის ინფორმაციულ კარკასს, რომელიც ასახავს ყველა საბანკო სერვისის ტექნოლოგიის მართვის მნიშვნელოვან თავისებურებას.



ნახ.3. ინფორმაციული სისტემის ადგილი ბანკის მართვის კონტურში

მე-4 ნახაზზე მოცემულია ბანკის ინფორმაციული სისტემის სტრუქტურა. ასეთი მიდგომა ხაზს უსვავს იმ გარემოებას, რომ ეს სისტემა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემების ერთობლიობას, რომელიც ავტომატიზაციას უკეთებს სხვადასხვა ფუნქციას. მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ თითოეული ეს ქვესისტემა არსით წარმოადგენს გარვეული საბანკო ინფორმაციული ტექნოლოგიების (საბანკო პროდუქტების და მომსახურების შეთავაზების ტექნოლოგიების, ბანკის მართვის ტექნოლოგიების) ერთობლიობას. ბანკისა და მისი ინფორმაციული სისტემის სტრუქტურაში შეიძლება იყოს გამოყოფილი სამი ძირითადი ბლოკი: FrontOffice, BackOffice и HeadOffice.



ნახ.4. საბანკო ინფორმაციული სისტემის დეკომპოზიცია ფუნქციონალური ნიშანთვისებებით

FrontOffice-ს მიეკუთვნება ინფორმაციული სისტემის ის ქვესისტემები, რომლებიც წარმოადგენს ტარნაქციების და ბუღალტრული გატარებების, როგორც საბანკო ოპერაციების აღრიცხვის ერთელების წყაროს. აქ გამოიყოფა სალაროს და საანგარიშსწორებო მომსახურების, საკრედიტო და სადებოზიტო ხელშეკრულებების დადების, საბანკო ბაზარზე გარიგებების, ფასიან ქაღალდებთან გარიგებების და სხვა ტიპის ოპერაციონისტების სამუშაო ადგილები. მთელი ინფორმაცია ჩატარებული საბანკო ოპერაციების შესახებ გადაეცემა BackOffice-ს, რომელიც წარმოადგენს საბანკო ინფორმაციული სისტემის სააღრიცხვო ბირთვის – ეს არის ბუღალტრების და სხვა თანამშრომლების სამუშაო ადგილები, რომლებიც ემსახურება FrontOffice-ში ჩატარებულ გარიგებებს და ოპერაციებს.

HeadOffice-ის ფარგლებში ნაჩვენებია ძირითადი ფუნქციების ქვესისტემები: კონტროლი, დაგეგმვა და ანალიზი. ისეთი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქცია, როგორციაა აღრიცხვა, ხორციელდება BackOffice-ში და მართვის დანარჩენი ფუნქციების ინფორმაციულ ბაზაა.

ინფორმაციული სისტემის ქვესისტემების განხილვიდან უკვე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის ბანკის მართვაში. იგი უნდა უზრუნველყოფდეს მმართველებს სწორი და დროული ინფორმაციით და მხარს უჭერდეს გადაწყვეტილებების მიღების თანამედროვე მეთოდებს.

იმისათვის, რომ სრულად დავახასიათოთ ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი ბანკის საქმიანობაში, უნდა შევეხოთ თანამედროვე ბანკების სტრატეგიის ტენდენციათა საკითხებს.



პირველი ტენდენცია კლიენტებზე ორიენტაციაა. კლიენტზე ორიენტირებული მიდგომა მოითხოვს ინფორმაციის და პროცესების ცენტრალიზაციას, კლიენტზე ორიენტირებული კორპორატიული კულტურის და ინფრასტრუქტურის შემუშავებას, ურთიერთქმედების დადებითი გამოცდილების ფორმირებას, რაც მკვეთრად განასხვავებს ამ ბანკს კონკურენტებისაგან და ამ ურთიერთქმედების თანმიმდევრობას უზრუნველყოფს. ამ სტრატეგიის პრაქტიკული განხორციელება მხოლოდ IT-ს არსებითი დახმარებით არის შესაძლებელი.


საბანკო ბიზნესის განვითარების მეორე ტენდენცია მდგომარეობს პროდუქტების გასაღების და მომსახურების რეალიზაციაში ახალი არხების ძებნაში. ამისთვის ბანკები იყენებენ ელექტრონული გადაწყვეტილებების უპირატესობებს, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სიახლეებს. ელექტრონული ბიზნესი ცვლის დარგების სახეს. უახლოეს მომავალში ელექტრონული ბიზნესი განსაზღვრავს კომერციული საქმიანობის ძირითად წესებს. ინტერნეტში ბიზნესის გადატანამ შეამცირა შიდა დანახარჯები. ამგვარად, ელექტრონულ ბიზნესს გააჩნია დანახარჯების შემცირების პოტენციალი და ბანკებმა არ უნდა უგულებელყონ იგი. თუ ბანკი არასაკმარისად არის საქმეში ჩახედული ან სტრატეგიის და ორგანიზების შემუშავებაში არის რაიმე ნაკლოვანებები, მაშინ ამ სფეროში პროექტები წარუმატებელი იქნება. ბანკის ელექტრონული ბიზნესის სტრატეგიის აგების დროს საჭიროა ბიზნესის წარმატებულობის კრიტიკული ფაქტორების შეფასება, სტრატეგიული პრიორიტეტების დადგენა და შემდგომი განვითარების გეგმის შედგენა. ეს ყოველივე წარმოუდგენელია იტ-ის და ბანკის ბიზნეს-სტრატეგიის სწორი შემუშავების გარეშე.

ამასთან დაკავშირებით მოკლედ დავახასიათოთ, თუ რას წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების სტრატეგია ბანკში. ზოგადად, იტ-სტრატეგია არის ორგანიზაციის გეგმების დეტალური აღწერა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, რომელიც მიმართულია ბიზნეს-სტრატეგიის რეალიზაციის მხარდასაჭერად და კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად ყველაზე ოპტიმალური და ქმედითი მეთოდებით. ის კომპანიები, რომლებიც IT-ის სფეროში სტრატეგიულ დაგეგმარებას აწარმოებენ, აღწევენ თავის იტ-მომსახურების უფრო მაღალ ხარისხს და დაბალ ფასებს. ეს ორი კრიტერიუმი – ხარისხი და ფასი – IT-ის მუშაობის და განვითარების შეფასების საბაზო კრიტერიუმებია.

იტ-ის სტრატეგიული დაგეგმარება მრავალმხრივი პროცესია. მისი შემადგენელი მიმართულებებია: ორგანიზება; შიდა პროცესები, არქიტექტურა, გამოყენებითი სისტემები, პერსონალი, სტანდარტები, სტრატეგიული პარტნიორობა, რისკების კონტროლი, გეგმები, ფინანსები (ნახ.5).

ყოველ მოყვანილ მიმართულებაში განიხილება მიმდინარე სიტუაცია, მიზნები, სტრატეგია, ტაქტიკური მიდგომები დეკლარირებული შედეგების მისაღწევად. ზოგადად, ასეთი სისტემები მხარდაჭერას უწევენ ინფრასტრუქტურას, რომლის საშუალებითაც ხდება კლიენტების შესახებ მონაცემების შეგროვება, მომხმარებელთა შესახებ ინფორმაციის გაანალიზება, კლიენტების დაჯგუფება მათი ქცევის და იდივიდუალური მოთხოვნილებების საფუძველზე, ცალკეული მომხმარებლებისათვის ან საერთო ინტერესების და მოთხოვნების მქონე ადამიანთა ჯგუფებისათვის პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავება, ინდივიდუალიზირებული მომსახურება.

ყოველივე ზემოდ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება აღინიშნოს, რომ საბანკო კრიზისებისგან დაცვის, ფინანსური მდგრადობისა და საიმედობის ამაღლების მიზნით სხვა საბანკო საქმიანობის ღონისძიებებთან ერთად უნდა განხორციელდეს: ახალი ინფორმაციული პროდუქტების ათვისება, საბანკო მენეჯმენტის პროგრესული ტექნოლოგიური ხერხების დანერგვა, რაც ხელს უწყობს რისკების შემცირებას.



ნახ.5. ბანკის IT-ის ძირითადი კომპონენტები

### 3. დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ კრიზისულ პირობებში, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება ერთობა ბანკის ფინანსურ მდგრადობას და საიმედობას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს: ტექნიკური სრულყოფის პრობლემები, ბანკების ინფორმაციული უსაფრთხოების ამაღლება, პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა ზოგადად საბანკო მენეჯმენტში და კერძოდ საბანკო რისკების მენეჯმენტში, რაც ხელს

შეუწყობს ტექნიკური რისკების პრევენციას და რაც მისცემს ბანკებს საშუალებას უფრო მეტი ეფექტიანობით მოემსახურონ კლიენტებს და უზრუნველყოს ფინანსური ოპერაციების ოპერატიულობა და უსაფრთხოება

#### ლიტერატურა:

1. Питер Роуз. Банковский менеджмент. М., „Дело”, 1997
2. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ. რისკოლოგია. ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი. აფხაზეთის მეცნ. აკად., თბ., 2007
3. ცაავა გ. საბანკო საქმე. აფხაზეთის მეცნ. აკად., თბ., 2005
4. Тютюнник А.В., Шевелев А.С. Информационные технологии в банке. М., „БДЦ-Пресс”. 2003.

#### BUSINESS- AND IT-STRATEGY OF MODERN BANKS IN THE CONDITIONS OF FINANCIAL CRIESIES

Gogoladze Sophio, Tevdoradze Medea, Gedevanishvili Marina,  
Saltkhutsishvili Maia, Badjiashvili Anastasia  
Georgian Technical University

#### Summary

The activity of modern banks is characterized by complex conditions, resulting the increased competition between banks and the existence of economic crisis. Accordingly, there are issues related to the financial stability of the bank. To ensure financial indicators stability bank's strategy and the management should be elaborated. It is very difficult and complex issue to develop high level of strategy and management in the current situation without modern information and banking technologies. This article describes the role of the bank's information system and information technologies for ensuring the financial stability of banks. There is described bank management system and its functionalities implemented as banking information system.

#### БИЗНЕС- И ИТ-СТРАТЕГИЯ СОВРЕМЕННЫХ БАНКОВ В УСЛОВИЯХ ФИНАНСОВОГО КРИЗИСА

Гоголадзе С., , Тевдорадзе М., Гедеванишвили М.,  
Салтхуцишвили М., Баджиашвили А.  
Грузинский Технический Университет

#### Резюме

Деятельность современных банков характеризуется сложными условиями, что выражается в возросшей конкуренции и существовании экономических кризисов. В связи с этим появляется такая задача, как обеспечение финансовой устойчивости банка, которая выражается комплексным показателем, отражающим надежность банка. Для обеспечения указанного показателя должна быть разработана соответствующая стратегия банка и управление. Но обеспечения указанной стратегии и уровня управления невозможно без современных информационных технологий и банковской информационной системы. В данной статье охарактеризована роль информационной системы банка и информационных технологий в обеспечении финансовой устойчивости банка. Охарактеризована система управления банка и реализация ее функций в банковской информационной системе. Также охарактеризована стратегия информационных технологий в банке и ее роль в обеспечении финансовой устойчивости банка.